სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

2025 წელს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში სულ შემოვიდა 2 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე უნივერსიტეტში მოთხოვნა არ შემოსულა. უნივერსიტეტის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

დაკმაყოფილდა 2 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებები განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო უნივერსიტეტში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა - ეკატერინე თვაურმა.

საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, უნივერსიტეტში პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და სხვისთვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად. პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე - მატერიალური სახით. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას.

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გაცემა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა.

უნივერსიტეტს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად, არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

უნივერსიტეტის მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. უნივერსიტეტის მიერ საჯარო ინფორმაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა. საანგარიშო პერიოდში ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები უნივერსიტეტს არ გაუწევია.